ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 31 12 2018 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის
ბრძანება № 32-3

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მთარგმნელ-თარჯიმანთა უმაღლესი სკოლისა და ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებელი ცენტრის ფუნქციების განსაზღვრის შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. უნივერსიტეტის რექტორის დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურული ერთეულის - ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებელი ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ფუნქციებია:

ა) აბიტურიენტთა მომზადება ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის;

ბ) აბიტურიენტებისთვის შესაბამისი სასწავლო პროგრამების შემუშავება და სასწავლო პროცესის ორგანიზება;

გ) სწავლების ახალი/თანამედროვე მეთოდების დანერგვა აბიტურიენტთა მომზადების პროცესში;

დ) დაინტერესებული პირების მომზადება საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის.

2. ცენტრს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი დადგენილი წესის შესაბამისად.

3. უნივერსიტეტის რექტორის დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურული ერთეულის - მთარგმნელ-თარჯიმანთა უმაღლესი სკოლის (შემდგომში - სკოლა) ფუნქციებია:

ა) მთარგმნელებისა და თარჯიმნების მომზადება ინგლისურ, რუსულ, გერმანულ ან ფრანგულ ენაში;

ბ) კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის ორგანიზება;

გ) სასწავლო მოდულების შემუშავება/დამტკიცება და ახალი/თანამედროვე მეთოდების დანერგვა სასწავლო პროცესში;

დ) სასწავლო პროცესის ორგანიზება.

4. ცენტრს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი დადგენილი წესის შესაბამისად.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2013 წლის 21 აგვისტოს 01-00/14 ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებელი ცენტრის დებულება“.

6. საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს დაევალოს დაინტერესებული პირებისთვის ბრძანების გაცნობის უზრუნველყოფა.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

უნივერსიტეტის დამფუძნებლის
სრულუფლებიანი წარმომადგენელი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ქორეპისკოპოსი იაკობი (იაკობიშვილი)

UNIVERSITY OF PATRIARCHATE OF GEORGIA
ST. ANDREW THE FIRST-CALLED